

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №41  
2024 წლის 29 ნოემბერი

ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N30 დადგენილებით დამტკიცებული დანართის I, II, III და IV თავებში (www. Matsne.gov.ge, 25.12.2023 წ, 190020020.35.125.016487), აღნიშნულიდან გამომდინარე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

**მუხლი 1**

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N30 დადგენილებით დამტკიცებული დანართის I, II, III და IV თავებში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიას (თ. ქელბაქიანი).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

იოსებ რობაქიძე

დანართი №1

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

თავი I. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	22 150,30	21 490,9	13 138,2	8 352,7	23 220,3	11 817,7	11 402,6
გადასახადები	8 213,7	9 235,0	9 235,0	-	9 812,0	9 812,0	-
გრანტები	13 470,9	11 760,6	3 407,9	8 352,7	12 471,9	1 069,3	11 402,6



სხვა შემოსავლები	465,7	495,3	495,3	-	936,4	936,4	-
<b>II. ხარჯები</b>	<b>12 493,50</b>	<b>15 045,8</b>	<b>11 163,3</b>	<b>3 882,5</b>	<b>18 863,7</b>	<b>14 882,3</b>	<b>3 981,4</b>
შრომის ანაზღაურება	2 018,1	2 280,1	2 155,9	124,2	2 569,0	2 569,0	-
საქონელი და მომსახურება	1 817,4	2 365,9	1 590,0	775,9	3 399,1	2 565,6	833,5
პროცენტი	28,7	21,2	21,2	-	15,5	15,5	-
სუბსიდიები	4 752,9	5 687,2	5 587,8	99,4	6 734,0	6 558,3	175,7
გრანტები	11,5	5,0	5,0	-	13,7	13,7	-
სოციალური უზრუნველყოფა	737,9	836,4	823,1	13,3	1 132,4	1 113,2	19,2
სხვა ხარჯები	3 127,0	3 850,0	980,3	2 869,7	5 000,0	2 047,0	2 953,0
<b>III. საოპერაციო საღდო</b>	<b>9 656,80</b>	<b>6 445,1</b>	<b>1 974,9</b>	<b>4 470,2</b>	<b>4 356,6</b>	<b>3 064,6</b>	<b>7 421,2</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>8 175,3</b>	<b>7 426,1</b>	<b>760,3</b>	<b>6 665,8</b>	<b>7 749,3</b>	<b>- 998,0</b>	<b>8 747,3</b>
ზრდა	8 398,4	7 863,6	1 197,8	6 665,8	14 839,3	6 092,0	8 747,3
კლება	223,1	437,5	437,5	-	7 090,0	7 090,0	-
<b>V. მთლიანი საღდო</b>	<b>1 481,5</b>	<b>- 981,0</b>	<b>1 214,6</b>	<b>- 2 195,6</b>	<b>- 3 392,7</b>	<b>- 2 066,6</b>	<b>- 1 326,1</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1 423,5</b>	<b>- 1 039,0</b>	<b>1 156,6</b>	<b>- 2 195,6</b>	<b>- 3 386,7</b>	<b>- 2 060,6</b>	<b>- 1 326,1</b>
ზრდა	1 423,5	1 156,6	1 156,6	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	1 985,1	1 156,6	1 156,6	-	-	-	-
კლება	-	2 195,6	-	2 195,6	3 386,7	2 060,6	1 326,1
ვალუტა და დეპოზიტები	561,6	2 195,6	-	2 195,6	3 386,7	2 060,6	1 326,1
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>- 58,0</b>	<b>- 58,0</b>	<b>- 58,0</b>	<b>-</b>	<b>6,0</b>	<b>6,0</b>	<b>-</b>
ზრდა	-	-	-	-	64,1	64,1	-
საშინაო	-	-	-	-	64,1	64,1	-
კლება	58,0	58,0	58,0	-	58,1	58,1	-
საშინაო	58,0	58,0	58,0	-	58,1	58,1	-
სესხები	58,0	58,0	58,0	-	58,1	58,1	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>-</b>	<b>0,0</b>	<b>- 0,0</b>	<b>0,0</b>	<b>- 0,0</b>	<b>- 0,0</b>	<b>0,0</b>

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	22 373,4	21 928,4	13 575,7	8 352,7	30 374,4	18 971,8	11 402,6
შემოსავლები	22 150,3	21 490,9	13 138,2	8 352,7	23 220,3	11 817,7	11 402,6
არაფინანსური აქტივების კლება	223,1	437,5	437,5		7 090,0	7 090,0	-
ვალდებულებების ზრდა	-	-			64,1	64,1	
<b>გადასახდელები</b>	<b>20 949,9</b>	<b>22 967,5</b>	<b>12 419,2</b>	<b>10 548,3</b>	<b>33 761,1</b>	<b>21 032,4</b>	<b>12 728,7</b>
ხარჯები	12 493,5	15 045,8	11 163,3	3 882,5	18 863,7	14 882,3	3 981,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 398,4	7 863,6	1 197,8	6 665,8	14 839,3	6 092,0	8 747,3
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	58,1	-	58,1	58,1	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>1 423,5</b>	<b>- 1 039,1</b>	<b>1 156,5</b>	<b>- 2 195,6</b>	<b>- 3 386,7</b>	<b>- 2 060,6</b>	<b>- 1 326,1</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 23220.3 ათასი ლარით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	22 150,3	21 490,9	13 138,2	8 352,7	23 220,3	11 817,7	11 402,6
გადასახადები	8 213,7	9 235,0	9 235,0	-	9 812,0	9 812,0	-
გრანტები	13 470,9	11 760,6	3 407,9	8 352,7	12 471,9	1 069,3	11 402,6
სხვა შემოსავლები	465,7	495,3	495,3		936,4	936,4	

### მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 9812,0 ათასი ლარით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი	სახელმწიფო ბიუჯეტის		საკუთარი	სახელმწიფო ბიუჯეტის



			შემოსავლები	ფონდები		შემოსავლები	ფონდები
გადასახადები	8 213,7	9 235,0	9 235,0	-	9 812,0	9 812,0	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-		-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	7 363,4	8 286,6	8 286,6		9 012,0	9 012,0	
ქონების გადასახადი	850,3	948,4	948,4	-	800,0	800,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	493,0	547,6	547,6		500,0	500,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-		-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	13,6	11,9	11,9		-	-	
სასოფლო სამეურნეო ანიშნულების მიწაზე	44,5	69,3	69,3		-	-	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	299,2	319,6	319,6		300,0	300,0	

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 12471.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
<b>გრანტები</b>	<b>13 470,9</b>	<b>11 760,5</b>	<b>12 471,9</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	96,2	7,9	1 069,3
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13 374,7	11 752,6	11 402,6
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	-	-
მიმდინარე ტრანსფერი	1 260,4	4 305,7	853,7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	660,4	905,7	853,7
სპეციალური ტრანსფერი	600,0	3 400,0	-
კაპიტალური ტრანსფერი	11 193,4	5 733,1	8 108,9
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	10 544,2	4 916,0	7 566,9
მაღალმთიანი რეგიონები	495,0	275,1	-
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები	107,2	-	-
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	542,0	542,0	542,0
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	920,9	1 713,8	2 440,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	920,9	1 713,8	2 440,0



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	-	-	-
---	---	---	---

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 936,4 ათასი ლარით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>465,7</b>	<b>495,3</b>	<b>936,4</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	270,6	217,6	691,7
პროცენტი	112,4	42,6	247,8
რენტა	158,2	175,0	443,9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	81,5	96,2	70,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	72,5	87,6	70,0
სანებართვო მოსაკრებელი	46,1	40,9	20,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	-	0,2	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	26,4	46,5	50,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	9,0	8,6	-
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	61,5	67,2	60,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	52,1	114,3	114,7

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 18863.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>12 493,50</b>	<b>15 045,8</b>	<b>11 163,3</b>	<b>3 882,5</b>	<b>18 863,7</b>	<b>14 882,3</b>	<b>3 981,4</b>
შრომის ანაზღაურება	2 018,10	2 280,1	2 155,9	124,2	2 569,0	2 569,0	-
საქონელი და მომსახურება	1 817,40	2 365,9	1 590,0	775,9	3 399,1	2 565,6	833,5
პროცენტები	28,70	21,2	21,2	-	15,5	15,5	-
სუბსიდიები	4 752,90	5 687,2	5 587,8	99,4	6 734,0	6 558,3	175,7
გრანტი	11,50	5,0	5,0		13,7	13,7	



სოციალური უზრუნველყოფა	737,90	836,4	823,1	13,3	1 132,4	1 113,2	19,2
სხვა ხარჯები	3 127,0	3 850,0	980,3	2 869,7	5 000,0	2 047,0	2 953,0

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 7749.3 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 14839.3 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 7090.0 ათასი ლარით:

არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>619,7</b>	<b>128,2</b>	<b>246,1</b>
საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	619,7	128,2	246,1
<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>7 217,4</b>	<b>7 259,7</b>	<b>12 942,8</b>
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 863,0	5 383,7	8 075,0
წყლის სისტემების განვითარება	253,2	389,2	972,2
გარე განათება	54,6	3,7	2,0
მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	-	-
კეთილმოწყობის ღონისძიებები	631,8	832,8	2 419,4
მუნიციპალური ტრანსპორტის ხელსეწყობა	-	-	22,5
საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	136,3	94,0	122,2
კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,7	6,5	13,1
საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა	78,0	150,7	281,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	199,8	399,1	1 035,4
<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	-	-
მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
<b>განათლება</b>	<b>282,3</b>	<b>23,1</b>	<b>27,4</b>
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5,7	7,8	17,0
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	165,3	13,6	1,0
საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	111,3	1,7	9,4
<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>279,0</b>	<b>452,6</b>	<b>1 602,2</b>
სპორტის სფეროს განვითარება	265,4	439,4	1 032,1
კულტურის სფეროს განვითარება	13,6	13,2	570,1
<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>15,9</b>



ჯანმრთელობის დაცვა	-	-	-
სოციალური დაცვა			15,9
ეკონომიკის განვითარება			4,9
<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>8 398,4</b>	<b>7 863,6</b>	<b>14 839,3</b>
<b>დასახელება</b>	<b>2022 წლის ფაქტი</b>	<b>2023 წლის ფაქტი</b>	<b>2024 წლის პროექტი</b>
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>223,1</b>	<b>437,5</b>	<b>7 090,0</b>
ძირითადი აქტივები	-	97,0	697,1
არაწარმოებული აქტივები	223,1	340,5	6 392,9
მიწა	223,1	340,5	6 392,9

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>3 658,9</b>	3 913,6	<b>4 660,9</b>
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 658,9	3 913,6	4 660,9
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 658,9	3 913,6	4 420,3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	240,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	-	0,6
7.2	<b>თავდაცვა</b>	<b>110,8</b>	-	-
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	110,8	-	-
7.4	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>6 530,2</b>	<b>5 928,2</b>	<b>9 356,3</b>
7.4.5	ტრანსპორტი	6 530,2	5 928,2	9 356,3
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 920,9	5 393,4	8 635,6
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	609,3	534,8	630,9
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები		-	89,8
7.5	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>468,3</b>	<b>522,0</b>	<b>577,9</b>
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	468,3	522,0	577,9
7.6	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>5 063,8</b>	<b>6 314,3</b>	<b>10 574,4</b>
7.6.1	ბინათმშენებლობა	2 682,3	3 289,9	4 314,6



7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	462,2	528,2	578,2
7.6 3	წყალმომარაგება	261,0	433,7	1 056,1
7.6 4	გარე განათება	326,3	318,1	295,0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 332,0	1 744,4	4 330,5
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>96,4</b>	<b>99,4</b>	<b>213,2</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	96,4	99,4	213,2
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>1 904,3</b>	<b>2 556,9</b>	<b>4 072,0</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 093,7	1 610,8	2 480,5
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	810,6	946,1	1 581,5
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	-	10,0
7.9	<b>განათლება</b>	<b>2 225,7</b>	<b>2 527,1</b>	<b>2 914,9</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1 644,0	1 899,7	2 262,5
7.9 2	ზოგადი განათლება	581,7	627,4	652,4
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	581,7	627,4	652,4
7 10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>859,4</b>	<b>1 105,9</b>	<b>1 391,5</b>
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	27,0	38,5	95,7
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	113,2	181,5	137,0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	127,1	164,0	193,2
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	-	0,6	2,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	592,1	721,3	963,6
	<b>სულ</b>	<b>20 917,8</b>	<b>22 967,4</b>	<b>33 761,1</b>

## მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 3392.7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 4356.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	9 656,8	4 032,9	4 356,6
მთლიანი სალდო	1 481,5	3 024,5	- 3 392,7

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება





დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 423,5	- 1 039,0	- 3 386,7
ზრდა	1 985,1	1 156,6	-
ვალუტა და დეპოზიტი	1 985,1	1 156,6	-
კლება	561,6	2 195,6	3 386,7
ვალუტა და დეპოზიტი	561,6	2 195,6	3 386,7

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 58.1 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 145.1 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 87.0 ათასი ლარი.

**თავი II. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები**

**მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება**

**1. პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს**

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, მიმდინარე შეკეთება წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და ექსპლუატაცია. მრავალსართულიანი შენობების სახურავების, ლიფტების, ეზოების და ფასადების მოწყოლა. საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. კომუნალური მეურნეობის და მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**ა) პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01).** საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა-შეკეთება, ორმოული შეკეთება. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

**პროგრამის მიზანია:** მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადაადგილების გამარტივება, გამტარიანობის ზრდა.



პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-3 მიზნის 3.6, მე-9 მიზნის 9.1 და მე-11 მიზნის 11.2 ამოცანების შესრულებას.

**ა.ა) ქვეპროგრამა: გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01).**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზების მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** საავტომობილო გზებზე მგზავრთა გადაადგილების გამარტივება.

**მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

**ა.ბ) ქვეპროგრამა: გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02).**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ყოველწლიურად მიმდინარეობს არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორების და მოხრეშვა-მოშანდაკების სამუშაოები; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით გარკვეული სამუშაოების ჩატარება. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად.

**პროგრამის მიზანი:** შესრულებულმა სამუშაოებმა უსაფრთხო გახადოს ამ გზებზე გადაადგილება.

**მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

**ა.ბ) ქვეპროგრამა: სატრანსპორტო საშუალებების შეძენა (პროგრამული კოდი 02 01 03).**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ტექნიკის შეძენა, რაც საშუალებას მოგვცემს ახალით ჩავანაცვლოთ მოძველებული ტექნიკა, რომელსაც ამოწურული აქვს ექსპლოატაციის ვადა, რაც უფრო მოქნილსა და ეფექტიანს გახდის მუნიციპალიტეტის მუშაობას.

ტყიბულის მუნიციპალიტეტს აქვს მაღალმთიანი ადმინისტრაციული ერთეულები სადაც მოსალოდნელია დიდთოვლობა, რისთვისაც სპეციალური ტექნიკა მზადყოფნაში უნდა იყოს, რასაც მოძველებული ტექნიკური საშუალებები ვერ უზრუნველყოფს.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-11 მიზნის 11.2 ამოცანის შესრულებას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტს ყავდეს გამართული, შეუფერხებლად მომუშავე სატრანსპორტო საშუალებები და სპეციალური ტექნიკა.

**მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის კომფორტული და შეუფერხებელი გადაადგილებისთვის შექმნილი ხელსაყრელი გარემო და სუფთა ქალაქი.

**ბ) პროგრამა: წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02).**

პროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.



პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე სისტემების გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული 01 მიზნის 1.4, მე-6 მიზნის 6.1 და 6.3, მე-9 მიზნის 9.1 და მე-11 მიზნის 11.1 და 11.7 ამოცანების შესრულებას.

**ბ.ა) ქვეპროგრამა: სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01).**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე განხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მიღწეული იქნას სასმელი წყლის მიწოდება;

**მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე.

**ბ) პროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03).**

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების) უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას, შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;

გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა.

პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირებით უსაფრთხო გარემოს შექმნა, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვებისათვის.

**ბ.ა) ქვეპროგრამა: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01).**

მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

**პროგრამის მიზანი:** ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება.

**მოსალოდნელი შედეგი:** მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს



გამართულად.

**გ) პროგრამა: მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04).**

პროგრამის ფარგლებში მოხდება ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა.

პროგრამის მიზანია: საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-11 მიზნის 11.1 და 11.7 ამოცანის შესრულებას.

**გ.ა) ქვეპროგრამა: მრავალბინიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 01).**

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მომართვის საფუძველზე, ხორციელდება კორპუსების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ადგილზე ხდება პრობლემის შესწავლა; ჩასატარებელი სამუშაოების დაწყება ხდება რეგისტრირებული განცხადებების თანმიმდევრობისა და პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო კანონმდებლობის ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შემდეგ.

2. პროგრამის ფარგლებში მოხდება არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების გადახურვა.

**პროგრამის მიზანი:** რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, სახურავების დაზიანების გამო მოსახლეობისთვის მინიმუმამდე დაყვანილი ზარალი.

აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გაზრდილია შენობების ექსპლუატაციის ვადა.

**მოსალოდნელი შედეგი:** გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

**გ.ბ) ქვეპროგრამა: მრავალბინიანი შენობების ლიფტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 02).**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მომართვის საფუძველზე, ხორციელდება კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ადგილზე ხდება პრობლემის შესწავლა; ჩასატარებელი სამუშაოების დაწყება ხდება რეგისტრირებული განცხადებების თანმიმდევრობისა და პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო კანონმდებლობის ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შემდეგ.

2024 წლის ბიუჯეტში იგეგმება ორი ერთეული ლიფტის რეაბილიტაცია.

**პროგრამის მიზანი:** მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია-მოწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

**გ.გ) ქვეპროგრამა: მრავალბინიანი შენობების ეზოების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 03).**

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მომართვის საფუძველზე, ხორციელდება კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ადგილზე ხდება პრობლემის შესწავლა; ჩასატარებელი სამუშაოების დაწყება ხდება რეგისტრირებული განცხადებების თანმიმდევრობისა და პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო კანონმდებლობის ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შემდეგ.



2024 წლის ბიუჯეტში დასრულდება გასული წლის პროექტები და მოეწრობა ახალი ეზოები.

**პროგრამის მიზანი:** მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია-მოწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

**გ.დ) ქვეპროგრამა:** მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 04).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მომართვის საფუძველზე, ხორციელდება კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ ადგილზე ხდება პრობლემის შესწავლა; ჩასატარებელი სამუშაოების დაწყება ხდება რეგისტრირებული განცხადებების თანმიმდევრობისა და პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო კანონმდებლობის ყველა შესაბამისი პროცედურის დასრულების შემდეგ.

**პროგრამის მიზანი:** რეაბილიტირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობები, მოწესრიგებული ფასადები.

**მოსალოდნელი შედეგი:** გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

**და) ქვეპროგრამა:** ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 05 01).

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელების მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა-მოსახლეობის განწყობის ამაღლება. მოეწყობა საყრდენი კედლები. სკვერი მოეწყობა სოფ მუხურაში, ქ.ტყიბულში მერკვილაძის, წერეთლისა და თაბუკაშვილის ქუჩებზე. მოეწყობა გელათის ქუჩის განახლებული ინტერაქციული სივრცე(სკვერი).

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; კომფორტული და ჯანსაღი გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის.

**მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

**ე) ქვეპროგრამა:** მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 06).

მნიშვნელოვანია შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული დაბალი ტარიფის შენარჩუნება, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

**პროგრამის მიზანი:** ტრანსპორტი გადაადგილდება და მგზავრებს ემსახურება შეუფერხებლად

**მოსალოდნელი შედეგი:** მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილება.

**ვ) პროგრამა:** საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 07).

პროგრამის ფარგლებში პროექტირების ეტაპზე ხდება საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც განაპირობებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ვადებს, ხარისხსა და სამშენებლო ობიექტის საბოლოო სახეს.

**პროგრამის მიზანი:** სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შექმნა.

**მოსალოდნელი შედეგი:** დროულად და კვალიფიციურად შესრულებული ინფრასტრუქტურული



პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს).

**ზ) პროგრამა: კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 08).**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოვლა-შენახვა, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, გზებისა და ხიდების, განათებების, ტროტუარების, მოაჯირების, შადრევნების სკვერების და ბაღების, სადრენაჟე და სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია. სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-3 მიზნის 3.6, მე-9 მიზნის 9.1 და მე-11 მიზნის 11.7 ამოცანების შესრულებას.

**პროგრამის მიზანია:** განხორციელების შედეგად შექმნილი იქნება სუფთა, კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის.

სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი.

**მოსალოდნელი შედეგი:** შეკეთებული და მოვლილი სკვერები, ატრაქციონები, სანიაღვრე არხები და საზოგადოებრივი სივრცეები.

**თ) პროგრამა: საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 09).**

პროგრამა ხელს შეუწყობს სრულყოფილ პროექტების დამზადების პროცესს და მინიმუმადე იყოს დაყვანილი დაპროექტების სტადიაზე შესაძლო შეცდომები, რაც პროექტს მაქსიმალურად დაახლოებს არსებულ რეალობასთან, შემრულებელს გაუმარტივებს საქმეს და მინიმალური დანახარჯებით მოხდება პროექტების განხორციელება. ასევე შეამცირებს მზა პროექტებში ცვლილებების რაოდენობას. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას, აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას.

**პროგრამის მიზანია:** საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.

**მოსალოდნელი შედეგი:** შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

**ი) პროგრამა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 10).**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს დაიხარჯება 542,0 ათასი ლარი. მოეწყობა შიდა სასოფლო გზები, ხიდები, გარე განათება, შემოღობვა, სკვერების მოწყობა, მინი სპორტული ინფრასტრუქტურა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გასული წლის პროექტების დასრულება.

**პროგრამის მიზანია:** მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;

იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა.

პროექტების საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.

**მოსალოდნელი შედეგი:** პროექტების საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.



## 2. პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა,

დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება

მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში

გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-11 მიზნის 11.6 და 11.7 ამოცანის შესრულებას.

### ა) ქვეპროგრამა: დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

ტყიბულის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავში დიდი მანქანები.

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: სამტრედია, საწირე, ხრესილი, ლეღვა, ჭყეპი, ბუეთი, ორპირი, კურსები, მადარო, გელათი, მოწამეთა. შეგროვებული ნარჩენები გადის მანჭიორის ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 30 მ/კუბ ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 3 ნაგავშიდი.

პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება აგრეთვე ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ტერიტორიიდან გაყვანა.

ასევე ფინანსდება ქალაქ ტყიბულის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.  
**პროგრამის მიზანია:** მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდეს ქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდეს მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნეს მაწანწალა ძაღლები.

ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგას ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდეს მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება.

**მოსალოდნელი შედეგი:** ქალაქში სანიტარული წესრიგი შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

## 3. პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლება და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლის ფარგლებში



მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-4 მიზნის 4.2 და 4.5 ამოცანების და მე-9 მიზნის 9.1 ამოცანის შესრულებას.

**ა) პროგრამა: საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01).**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 17 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 541-ზე მეტი ბავშვი. ბავშვბაღებში ჯამში დასაქმებულია 247 აღმზრდელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბავშვბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავშვბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ბავშვბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავშვბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბავშვბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

**პროგრამის მიზანი:** ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი პირობები, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნეს სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნას სამუშაო პირობებით.

**მოსალოდნელი შედეგი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

**ა.ბ) პროგრამა: საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03).**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით. საბოლოო ეტაპზე კი





ითვალისწინებს ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას.

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

#### **4. პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

პრიორიტეტი მოიცავს უამრავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, ტურისტულ მარშრუტებს. მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივი ახალგაზრდების მიგრაციის თემა, შიდა თუ საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გაზრდა. ამისთვის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას, ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, ინოვაციების ხელშეწყობას და განათლების პარალელურად მოზარდი და ახალგაზრდა თაობებისთვის კულტურისა და სპორტის განვითარებას. მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, ხელოვნების და კულტურის დარგის გამოჩენილი ახალგაზრდების წახალისებას. ყველა მოზარდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს ნიჭი და უნარი. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

#### **ა) პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01).**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება. მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

პროგრამის მიზანია: მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

#### **ა.ა) ქვეპროგრამა: ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ხელსეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01 01).**

სპორტული ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ მიმართულებას, ესენია: კრივი (30 ბავშვი); ჭიდაობა სამბო (14 ბავშვი); ჭიდაობა ძიუდო (59 ბავშვი); ქართული ჭიდაობა 10 ბავშვი; თავისუფალი ჭიდაობა 11 ბავშვი; რაგბი (46 ბავშვი); კარატე (30 ბავშვი); კუნგ-ფუ (21 ბავშვი) კალათბურთი (86 ბავშვი) და ხელბურთი (30 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 322 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 113 ადამიანი, მათ შორის, 88 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 25 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები სისტემატიურად მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ადგილობრივ, საქართველოს და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.

ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით. სუბსიდიის თანხები ხმარდება თანამშრომელთა



ხელფასებს, მოსწავლეთა და მწვრთნელთა სამივლინებო ხარჯებს, სპორტული ინვენტარის შეძენას, ბაზების მოვლა -შენახვის ხარჯებს სხვადასხვა შიგა სპორტული ღონისძიებების ჩატარების ხარჯებს და საერთოდ ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ხარჯებს.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

**მოსალოდნელი შედეგი:** მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა.

**ა.ბ) ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01 02).**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება,წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული ტყიბულელების დასაჩუქრება; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;

პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ტყიბულის მინიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.

**პროგრამის მიზანია:** ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება

**მოსალოდნელი შედეგი:** მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა.

**ა.გ) ქვეპროგრამა: ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01 03).**

ჭადრაკი არის ინტელექტუალური თამაში რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერების და სპორტის ელემენტები. იგი ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის და ყურადღების კონცენტრაციას, გამარჯვებისაკენ სწრაფვას.

პროგრამა მიზნად ისახავს საჭადრაკო სკოლაში მიღწეული წარმატებების შენარჩუნებას, ჭადრაკის შემდგომ განვითარებას და ამ სფეროში არსებული ტრადიციების ყოველმხრივ მხარდაჭერას. საჭადრაკო კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია კლუბის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია კლუბით სარგებლობა.

**პროგრამის მიზანია:** საჭადრაკო სკოლაში მიღწეული წარმატებების შენარჩუნება, ჭადრაკის შემდგომი განვითარება და ამ სფეროში არსებული ტრადიციების ყოველმხრივმხარდაჭერა. **მოსალოდნელი**

**შედეგი:** საჭადრაკო კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია კლუბის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია კლუბით სარგებლობა;

**ა.დ) ქვეპროგრამა: ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02).**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნორჩი მეშახტის დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა შპს „საფეხბურთო კლუბ მეშახტეს“, საიდანაც ხორციელდება ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფებისათვის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯი.

**პროგრამის მიზანია:** შპს საფეხბურთო კლუბ „მეშახტეს“ აღზარდოს ადგილობრივი, ღირსეული კადრები.

ნორჩმა მეშახტემ მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ სხვადასხვა ტურნირებში და დაიკავოს საპრიზო ადგილები.



**მოსალოდნელი შედეგი:** კლუბი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია ორგანიზაციის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის წრეებით სარგებლობა;

**ა.ე) ქვეპროგრამა: სპორტისა და დასვენების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03).**

სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდება ახალი მინი ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდება არსებულ მოედნებს როგორც ქალაქში ისე სოფლებში.

პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩაბმას სხვადასხვა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლებას და შექმნას, მოახდინოს მისი ადაპტირება ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებზე.

**მოსალოდნელი შედეგი:** მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

**ა.ვ) ქვეპროგრამა: კალათბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04)**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე საკალათბურთო გუნდის ხელშეწყობის მიზნით.

**პროგრამის მიზანია:** ხელი შეუწყოს გუნდს, რათა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე გამართულ შეჯიბრებებში და დაიკავოს საპრიზო ადგილი.

**მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე გუნდმა დაიკავოს საპრიზო ადგილი

**ბ) პროგრამა: კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02).**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება მათი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები.

**პროგრამის მიზანია:** სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

**ბ.ა) ქვეპროგრამა: ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01 01).**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 2 სასოფლო კულტურის სახლი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, 10 სასოფლო კლუბი და სამხატვრო გალერეა. ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდს რაოდენობაა 642114 წიგნი ხოლო მუზეუმში ექსპონატის რაოდენობა 103 ექსპონატი.

კულტურის სახლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 147 ადსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და



ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა.

**მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით.

**ბ.ბ) ქვეპროგრამა: სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 01 02).**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა.

მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 229 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 28 თანამშრომელს. მათ შორის 22 პედაგოგია.

სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 88 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებული 11 თანამშრომელი, მათ შორის, 8 პედაგოგი.

მუნიციპალური თეატრის განვითარება ისტორიული შენობისა და დიდი ტრადიციების შენარჩუნებისათვის უმნიშვნელოვანესია. უმნიშვნელოვანესია აგრეთვე მოზარდ-მაყურებელთა დასის შექმნა და ახალგაზრდა არტისტების მოძიება, თეატრალური ფესტივალების მოწყობა და ორგანიზება, დასის განვითარება და პრემიერათა რაოდენობის ზრდა.

პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება სახელოვნებო სფეროს მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი).

**ქვეპროგრამის მიზანია:** შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

მარკეტინგული სტრატეგია და მოვახდინოთ მის პოპულარიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

**მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად.

სრულად არის დაკმაყოფილებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებზე და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.

**ბ.გ) ქვეპროგრამა: კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 01 04).**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და



ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;  
**მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა.

**გ) ქვეპროგრამა: კულტურის ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02).**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტში კულტურული ობიექტების აღდგენა - რეაბილიტაციას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას.  
**მოსალოდნელი შედეგი:** მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა

**დ) ქვეპროგრამა: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02).**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით.

**ქვეპროგრამის მიზანი:** ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება.

**5. პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

**(პროგრამული კოდი 06 00).**

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

**ა) პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01).**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.



პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული მე-1 მიზნის 1.3 და მე-3 მიზნის 3.8 ამოცანების შესრულებას.

**ა.ა) ქვეპროგრამა: ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01 01).**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდსიტუაციის კონტოლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადექვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა; პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

1. ზოგადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას (სამედიცინო სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, სამოქმედო ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად; სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ შემთხვევათა კვლევა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით) და წარდგენა დკსჯე ცენტრში; სამოქმედო არეალში სამედიცინო დაწესებულებების დამხმარე ზედამხედველობა; დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში შემთხვევათა რეგისტრაცია; სამოქმედო არეალში საბიუჯეტო წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისათვის ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ტუბერკულოზზე საექვო შემთხვევების მონიტორინგი, ანტირაბული ღონისძიებების ორგანიზება, საჭიროებისას მალარიის დიაგნოსტიკა მოიცავს - სისხლის სქელი წვეთის აღება და ლაბორატორიული კვლევა, 2-10 წლამდე ასაკის ბავშვთა კონტიგენტის გამოკვლევები ჰელმინთებზე. მალარიის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიების გატარება, კერძოდ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება

პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი), 2. იმუნიზაცია. 3 2-10 წლამდე ბავშვთა კონტიგენტის ჰელმინთებზე გამოკვლევა

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

**პროგრამის მიზანია:** მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

**მოსალოდნელი შედეგი:** ჯანმრთელობის რისკების მონიტორინგი და საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი რეაგირება.

**ბ) პროგრამა: სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02).**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებითა და დახმარებით უზრუნველყოფას. ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის. საოპერაციო და სამკურნალო ხარჯების, მათ შორის კვლევების თანადაფინანსებას, შშმ პირთა, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანთა და ახალშობილთა ოჯახების დახმარებას, სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფას, მარტოხელა ხანდაზმულების შინმოვლის პროგრამას, ხანძრით დაზარალებულთა და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებას, ბავშვის და მათი ოჯახების გაძლიერებას და სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებას.

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების ტყიბულის მუნიციპალიტეტის დოკუმენტით განსაზღვრული 01 მიზნის 1.3 და 1.4, მე-2 მიზნის 2.1 ამოცანების შესრულებას.

**ბ.ა.) ქვეპროგრამა: სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01).**



ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური და ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსებას პროფილის მიუხედავად:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 200 001 ქულამდე-პაციენტის გადასახდელი თანხის -100%.

ბ) ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტისას, ოჯახი, რომელიც არ იძებნება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 200 000 ქულაზე მეტია - პაციენტის გადასახდელი თანხის-50%.

1.1. თანადაფინანსება განისაზღვრება არანაკლებ 100(ასი) და არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.

1.2. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური და ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება გაეწევათ წელიწადში ერთჯერ.

ქვეპროგრამით არ ფინანსდება:

ა) საზღვარგარეთ გაწეული ქირურგიული ოპერაციის ხარჯები;

ბ) ესთეტიკური ქირურგია კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული;

გ) კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული მოქალაქეების ქირურგიული ოპერაცია;

დ) პაციენტის მიერ გადახდილი თანხა.

2. სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება 100%, არაუმეტეს 500 ლარისა.

არ დაფინანსდება პაციენტის მიერ გადახდილი თანხა.

3. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად ბენეფიციარის სამკურნალო, საოპერაციო, კვლევების თანადაფინანსება.

3.1 თანადაფინანსება განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ გადახდილი თანხით.

4. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-5 წლამდე ბავშვების და ასაკის პენსიონერების სტაციონალური გადაუდებელი მომსახურების დაფინანსება ტყიბულის მუნიციპალიტეტში განთავსებულ ჰოსპიტალებში/კლინიკებში.

4.1 დაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა;

4.2 დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ წელიწადში ერთჯერ.

**ქვეპროგრამის მიზანი:**

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯამრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** ქვეპროგრამის ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**ბ.ბ.) ქვეპროგრამა: კომუნალური გადასახადები (პროგრამული კოდი 06 02 02).**

ქვეპროგრამით ისარგებლებენ:



ა) 2006 წლიდან შპს „საქნახშირი“ შახტაში დაღუპულთა და დამავებულთა (რომლებსაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით წელიწადში 6 თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, ნოემბერი და დეკემბერი);

კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, რომელთა ოჯახის სარეიტეგო ქულა 100 001 ქულამდეა-ყოველთვიური 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

კომუნალური გადასახადის გადახდა განხორციელდება ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

პროგრამით მოსარგებლებმა საბიუჯეტო წლის იანვრისა და ივლისის თვეებში ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზებიდან.

გ) ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილ სამოქმედო გეგმაში (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) მითითებული ოჯახი, მდგომარეობის გაუმჯობესებამდე, ყოველთვიურად არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარისა.

დ) წინამდებარე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პროგრამით ისარგებლებენ ბენეფიციარები, რომლებსაც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზის გადამოწმების შედეგად კომპანიების მიმართ სააბონენტო ბარათზე აქვთ დავალიანება ან/და კრედიტი არაუმეტეს 20 (ოცი) ლარისა.

**ქვეპროგრამის მიზანი:** ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების კომუნალური გადასახადების გადახდის ხელმისაწვდომობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** მოხმარებული ზოგიერთი კომუნალური გადასახადით უზრუნველყოფა.

**ბ.გ.)ქვეპროგრამა:** ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ, უგზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა და ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით - თითოეულზე გაიცემა 300 (სამასი) ლარი;

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების გამო ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეები ჩერნობილის დღესთან დაკავშირებით (26 აპრილი) თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

დ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები და მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირთა ფულად დახმარებას 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით- თითოეულზე გაიცემა 500 (ხუთასი) ლარი.

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 1992-1993 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში





დადუპულ, უზო-უკვლო დაკარგულ და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მეომართა ოჯახები 26 მაისის (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) დღესასწაულთან დაკავშირებით თითოეულზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;

დ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2008 წლის აგვისტოს ომში დადუპულ მეომართა ოჯახები- თითოეულზე 1000 (ათასი) ლარი, აგვისტოს თვეში;

ე) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ ვეტერანების დახმარება 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ფულადი დახმარება განხორციელდება განხორციელდება ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში არსებული მონაცემთა ბაზებიდან.

**ქვეპროგრამის მიზანია:** გარდაცვლილი მეომრების ხსოვნისათვის მათი ოჯახების დახმარება და ვეტერანი მეომრების სტატუსის დაფასება.

**მოსალოდნელი შედეგი:** ვეტერანის სტატუსის დაფასება.

**ბ.დ.) ქვეპროგრამა: ოჯახების და ბავშვების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04).**

ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან :

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები(4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი).

ყოველთვიური ფულადი დახმარება თითოეულ ბავშვზე 40 (ორმოცი)ლარი.

სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახი (ორივე მშობელი და ბავშვები) რეგისტრირებული და ოჯახი ფაქტობრივად მცხოვრები იყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ბ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მარტოხელა მშობელი. ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით.

გ) შვილის შეძენის შემთხვევაში ოჯახების ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარი.

სავალდებულოა ახალშობილი და ორივე მშობელი რეგისტრირებული იყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ქვეპროგრამით მოსარგებლე ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება

**მოსალოდნელი შედეგი:** მოსახლეობის ამ მიზნობრივი ჯგუფების დახმარება ხდება დროულად.

**ბ.ე.) ქვეპროგრამა: სოციალური სერვისები - უფასო სასადილო, სოციალური სამრეცხაო (პროგრამული კოდი 06 02 05).**

1. სოციალური სერვისი - „უფასო სასადილო.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ტყიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის.

ქვეპროგრამით ისარგებლებენ:

ა) ბენეფიციარი, რომელიც აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეგისტრაციო ქოლა 0-დან 65 001-მდეა.



ბ) მერი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბენეფიციარად რეგისტრაციის შესახებ, თუ მისი სარეიტინგო ქულა 65 001-ზე მეტია და მისი შემოსავალი ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გამცემი კომისიის გადაწყვეტილებით მათი ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის.

უფასო კვება განხორციელდება არსებული სიის მიხედვით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის რეგისტრაციიდან მოხსნის თაობაზე, თუ:

ა) ბენეფიციარმა პირადი განცხადებით მომართა აღნიშნულის შესახებ;

ბ) ბენეფიციარი თვის განმავლობაში ათი დღე არ სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით და აღნიშნული არ არის გამოწვეული საპატიო მიზეზით;

გ) ბენეფიციარი გარდაიცვალა

2. სოციალური სერვისი- „სოციალური სამრეცხაო“ მიზნად ისახავს უფასო სასადილოს ბენეფიციარებისთვის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების, შშმ პირების საკვების ხელმისაწვდომობის და ჰიგიენური პირობების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები დაკმაყოფილებულია სრულად.

**ბ.ვ.) ქვეპროგრამა:** შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06).

ქვეპროგრამით ისარგებლებენ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

ა) შშმ პირები (0-და 18 წლამდე) ერთჯერადი ფულადი დახმარება - თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ბ) ცერებრალური დამბლით დაავადებული (18 წლის ზევით) ერთჯერადი ფულადი დახმარება - თითოეულზე 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

გ) ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მხედველობით პირველი ჯგუფის შშმ პირები ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით;

დ) I ტიპის (ინსულინდამოკიდებული) შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები, 6 თვეში ერთჯერ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ე) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები 3-დან 18-წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის საქართველოს კურორტებზე სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების ვაუჩერული დაფინანსება.

ე.ა) ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 350 (სამასორმოცდაათ) ლარს.

ე.ბ) ერთ ბენეფიციარზე და მის კანონიერ წარმომადგენელზე ვაუჩერის ღირებულება ჯამში განისაზღვრება 700 (შვიდასი) ლარით.

**პროგრამის მიზანია:** შშმ პირთა ოჯახების ფინანსური თანადგომა.

**მოსალოდნელი შედეგი:** დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი სტატუსის მქონე პირი.



**ბ.ზ.) ქვეპროგრამა:** ჰემოდალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა დაფინანსების პროგრამა(პროგრამული კოდი 06 02 07).

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად. ყოველთვიური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი ბენეფიციარი.

**ბ.თ.) ქვეპროგრამა:** სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 08).

პროგრამა გულისხმობს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (დროებითი საცხოვრებელი ადგილი) და ფაქტობრივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 200 000 ქულას), შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებისა (ვისაც ტრავმის შედეგად მიენიჭათ შშმ პირის სტატუსი) და სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 30 001 ქულას) პირველი-მეექვსე კლასის მოსწავლეები.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტი ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის (ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა) შესაბამისად განსაზღვრული ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფას.

**პროგრამის მიზანია:** სასკოლო-საკანცელარიო ნივთებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

**მოსალოდნელი შედეგი:** დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი პროგრამით მოსარგებლე და სოციალურად დაუცველი ბავშვი.

**ბ.ი.) ქვეპროგრამა:** 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების და შინმშვლის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 09).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ხანდაზმული (100 წელი და მეტი ასაკის) მოქალაქის ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით ბენეფიციარს დახმარება გაეწევა წელიწადში ერთხელ.

2. შინმშვლის სერვისი.

2.1. შინმშვლის პროგრამაში ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნა, ბენეფიციარების ჰიგიენური და საცხოვრებელი პირობების მოწესრიგება თვეში 4-ჯერ (სავალდებულო ვიზიტი კვირაში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში კვირაში 2-ჯერ) და ყოველთვიურად (თვის 13-15 და 28-30 რიცხვებში) საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა, გარდა უფასო სასადილოს ბენეფიციარებისა.

**პროგრამის მიზანია:** ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა და მარტომცხოვრები ხანდაზმულებისთვის თბილი, უსაფრთხო და ღირსეული პირობების შექმნის ხელშეწყობა.



**მოსალოდნელი შედეგი:** დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი მარტოხელა და 100 და მეტი წლის ხანდაზმული.

**ბ.კ.) ქვეპროგრამა:** გარდაცვლილი დევნილის ან ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10).

ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის და ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა - 300 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია გარდაცვლილი ვეტერანის/დევნილის პატივის მიცემა

**ქვეპროგრამის მიზანია:** გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი ომის მონაწილე ვეტერანი და იძულებით გადაადგილებული პირი.

**ბ.ლ.) ქვეპროგრამა:** საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11).

1. სიღატაკის რისკის ქვეშ (არ აქვთ თავშესაფარი) მყოფი ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფას, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ ოჯახის ქულა 65 001 ქულამდეა – კომისიის მიერ ფასდება 5 (ხუთი) ქულით;

ბ) სამედიცინო დოკუმენტის ფორმა №100 (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან მუდმივად მწოლიარე, ან აქვს დარღვეული ფსიქიკური ფუნქცია, თუ ოჯახში არის შშმ პირი ან შშმ პირები) არსებობა კომისიის მიერ ფასდება 4 (ოთხი) ქულით;

გ) თუ ბენეფიციარი მარტოხელა მშობელია – კომისიის მიერ ფასდება 4 (ოთხი) ქულით;

დ) მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) თითოეულ ბავშვს კომისია ანიჭებს 1 (ერთი) ქულას.

ბენეფიციარის მოთხოვნა საცხოვრისით დაკმაყოფილდება, თუ მას სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ, შეკრებითობის პრინციპით, მიენიჭება მინიმუმ 9 (ცხრა) ქულა.

1.1. საცხოვრისის შესაძენად ფულადი დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

1.2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის, შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახისათვის მოხდეს სულადობის გათვალისწინებით საცხოვრისის შეძენა, ფულადი დახმარების მაქსიმალური ზღვარია 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

1.3. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საცხოვრისის შეძენისას ანგარიშსწორება მოხდება მოძიებული ბინის მეპატრონის საბანკო ანგარიშზე.

2. ხანძრით (მხოლოდ საცხოვრებელი სახლის, ბინის) დაზარალებული ოჯახების დახმარებას.

2.1. ხანძრით დაზარალებული ოჯახის დახმარება განისაზღვრება მაქსიმუმ 5 000 (ხუთი ათასი) ლარით.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად საცხოვრებელ ოჯახების დახმარებას (საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში), რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 120 001 ქულამდეა.



3.1. სოციალური დახმარების გამცემი კომისია საკითხს განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის საფუძველზე.

3.2. ფულადი დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარისა.

4. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახებისთვის საცხოვრისის შეკეთებას, მათ შორის შიდა სამუშაოების შემთხვევაში.

4.1. სოციალური დახმარების გამცემი კომისია საკითხს განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტის საფუძველზე.

4.2. დაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში სტიქიის ან/და შენობა-ნაგებობების ხანდაზმულობის შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ განფასების აქტში დადგენილი თანხისა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** საცხოვრისის გარეშე არ დარჩეს არც ერთი ოჯახი, დახმარების გარეშე არ დარჩეს არც ერთი სტიქიითა და ხანძრით დაზარალებული ოჯახი.

**ბ.მ.) ქვეპროგრამა: ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების ფულადი დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 12).**

ქვეპროგრამით ისარგებლებენ:

ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოდაავადებულები, ვისაც ესაჭიროებათ ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია და სხივური თერაპია.

ფულადი დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

ბ) ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეები.

ფულადი დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** საჭირო პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა

**მოსალოდნელი შედეგი:** რეაგირების და დახმარების გარეშე არ დარჩეს არცერთი ბენეფიციარი.

**ბ.ნ.) ქვეპროგრამა: ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 13).**

ქვეპროგრამით ისარგებლებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული

მოქალაქე, რომელიც ვერ ისარგებლებს მუნიციპალური სოციალური პროგრამის რომელიმე პუნქტით და აქვს კრიზისული მდგომარეობა.

ერთჯერადი დახმარების მაქსიმალური ოდენობა 300( სამასი) ლარი.

განცხადებას განიხილავს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების გამცემი კომისია“, სამსახურის და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

**ქვეპროგრამის მიზანია:** კონკრეტული საჭიროების გადაწყვეტის ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** რეაგირების და დახმარების გარეშე არ დარჩეს არცერთი ბენეფიციარი.



**ბ.ო.) ქვეპროგრამა: ეპილეფსიითა და პარკინსონიზმით დაავადებულთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 14).**

ქვეპროგრამით გაეწევა დახმარება ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ეპილეფსიით და პარკინსონიზმით დაავადებულ მოქალაქეებს.

დახმარება განისაზღვროს წელიწადში ერთჯერ 300 ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შეძენაზე ფინანსური დახმარების გზით

**მოსალოდნელი შედეგი:** რეაგირების და დახმარების გარეშე არ დარჩეს არცერთი ბენეფიციარი.

**ბ.პ.) ქვეპროგრამა: ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 15).**

1. პროგრამა ითვალისწინებს, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრული ოჯახებისათვის იმ საჭიროებების მოგვარებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალური სოციალური პროგრამებით და აუცილებელია ზემოხსენებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვა გადაწყვეტილების მიღების მიზნით განხორციელდეს სოციალური დახმარების გამცემი კომისიის სხდომაზე.

**ქვეპროგრამის მიზანია:** კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება;

**მოსალოდნელი შედეგი:** ბავშვის კეთილდღეობის საუკეთესო შედეგის მიღწევა.

**ბ.ჟ.) ქვეპროგრამა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 16).**

პროგრამით ისარგებლებს:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირი.

1.1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა და ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიის მიერ მინიჭებული სტატუსი (მოქმედების ვადის შესაბამისად) ან/და საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის კოდექსი“-ს 126-1 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი უწყების მიერ მიღებული დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ.

1.2. ფულადი დახმარების თანხა განისაზღვრება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** რეაგირების გარეშე არ დარჩეს ძალადობის არცერთი შემთხვევა.

**ბ.რ.) ქვეპროგრამა: განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 17).**

პროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და



ფაქტობრივად მცხოვრები ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებას, რომლებიც რეაბილიტაციას გაივლიან ტყიბულის მუნიციპალიტეტში განთავსებულ შესაბამის დაწესებულებაში.

დაფინანსება განისაზღვრება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის თვეში მიღებული მომსახურების (სარეაბილიტაციო კურსი 10 საათი) თანხის ანაზრაურებას არაუმეტეს 220 ლარისა ან ფაქტობრივი მომსახურების შესაბამისად ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სარეაბილიტაციო კურსის ჩატარების ხელშეწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა აღნიშნული დიაგნოზის მქონე ბავშვმა მიიღოს აღნიშნული სერვისი.

**გ) პროგრამა: ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 03).**

